ქალბატონებო და ბატონებო!

მოგესალმებით, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისათვის, მიმაჩნია, რომ დღევანდელი ჩვენი შეხვედრა გულახდილ, საქმიან, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში წარიმართება, იმედი მაქვს თქვენი აქტიურობის და ობიექტურობის.

რამდენიმე კვირის წინ, ერთად ავღნიშნეთ ტყიბულის ქალაქად გამოცხადების 80 წლის იუბილე. ეს იყო მართლაც მნიშვნელოვანი და საერთო სახალხო ზეიმი, კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ეს ღირშესანიშნავი თარიღი და თქვენთან ერთად ვისურვო ლამაზ, კეთილმოწყობილ და ეკონომოკურად გამართულ ტყიბულში ცხოვრება.

მოგეხსენებათ, რომ ბოლო წლებში, ქვეყანაში შექმნილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, სტაბილურობის განცდამ, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ აღებულმა კურსმა დადებითი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემდგომ პერსპექტივაზე. სულ ორიოდე თვის წინ მუნიციპალიტეტის, მეშახტეების, საზოგადოებრიობის და მთავრობის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ტყიბულის ქვანახშირის შახტებში შემოვიდა ახალი მმართველი და თითქმის ერთი წლის წინ შეჩერებული სამუშაო პროცესი განახლდა. ამ ნაბიჯს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მუნიციპალიტეტისათვის: აღდგა სამუშაო პროცესი, ბიუჯეტში მოხდება შესაბამისი თანხების აკუმულირება, შეჩერდება მიგრაცია ქალაქიდან, რომელიც მომაკვდინებელ გავლენას ახდენდა, არა მარტო მოსახლეობის ეკონომიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარება აუცილებლად გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ახალგაზრდობის ადგილზე დამაგრებას და შესაბამისად სხვა კულტურული, ეკონომიკური, ფინანსური თუ საგანმანათლებლო პარამეტრების შემდგომ განვითარება-სრულყოფას.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მიმდინარე 2019 წელის განმავლობაში განხორციელებული პროექტები. ვფიქრობ თქვენთვის და საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება ზემოთ აღნიშნულ სკითხებზე საუბარი, აზრების გაზიარება თქვენთან და შესაბამისად საზოგადოებისშენიშვნების და წინადადებების

გათვალისიწნება ჩვენს შემდგომ საქმიანობაში. მე ვიცი, რომ ზოგჯერ შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და დროში გაწელილი პროცესის გამო, ჩვენს მიერ გაწეული შრომა საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ ყოველთვის ვერ ფასდება დადებითად. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საზოგადოების მოთხოვნები მართალია და არავითარ რევიზიას არ საჭიროებს, თუმცა მინდა მოგახსენოთ, რომ ხშირ შემთხვევაში ხელისშემშლელი პირობები ობიექტურია, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ სუბიექტურ ფაქტორსაც, რომლის გამოვლენის შემთხვევაში მივმართავთ კანონით გათვალიწინებულ ზომებს.

ინფრასტრუქტურული სფერო

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის, მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას, ინფრასტრუქტურული პროექტების, სოფლის პროგრამების, განათლების, სკოლების, ბაგა-ბაღების, შიდასასოფლო გზების, სკვერების მშენებლობისა და რეაბილიტაციის საკითხებს. 2019 წლის განმავლობაში ზემოთ აღნიშნული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, ტყიბულის მუნიციპალიტეტში იხარჯება **6 463 517** ლარი , რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბიზნეს-სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის განვითარებას, მცირე და საშუალო მეწარმეების, სოციალურ-ეკონომიკური ფონის გეგმაზომიერ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი წარმოების ზრდას და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტყვეტილება, მიმდინარე წლის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, დაეგეგმა-განესაზღვრა სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, 2019 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარმოგიდგენთ აღნიშნული პროგრამების შესაბამისად:

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში

2019 წლისათვის დაიგეგმა ხუთი ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 3 322 242 ლარი.

სოფლების შიდა გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია

პროექტის ფარგლებში სოფლის შიდა გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაცია განხორციელდა 11 მიმართულებით:

მუხურა ; მანჭიორი; ახალსოფლი; ცუცხვათი-ძუყნური; ხრესილი(ორღელე); მანდიკორი; ბობოთი; სოჩხეთის(მუხნარი); კურსები(უკლებები); გურნა (ნაჭიშკრევი); ოჯოლა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის სოფლებში დამატებით კეთილმოეწყო 6 620 გრძ/მეტრი შიდა სასოფლო გზა.

ქ. ტყიბულში მრავალბინიანი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია

საქართველოს მთავრობამ მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის გამოიყო 100 000 ლარი.

საანგარიშო პერიოდისათვის გამარჯვებულმა კომპანიამ გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებზე ადრე დაასრულა ხუთი ერთეული ლიფტის რეაბილიტაციის სამუშაოები: ტყვარჩელის ქ N32; თბილისის ქ N4; თაბუკაშვილის ქ N14; ახობაძის ქ. N2; გამსახურდიას ქ. N22.

გელათის მონასტერთან მისასვლელი ძველი გზის რეაბილიტაცია

გელათის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის გამოიყო 1 128 700 ლარი.

სარეაბილიტაციოდ განსაზღვრულია ისტორიული გზის (დავითის გზის) მონაკვეთი შემდეგ საზღვრებში: გელათის მონასტრის აღმოსავლეთის კარიბჭის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაწყებული, გალავანსა და სასაფლაოს შორის ორღობის გაყოლებით და მონასტრის სამხრეთ კარიბჭის გავლით არსებულ დასახლებულ უბნამდე, სიგრძით 600÷620 გრძ.მ. აგრეთვე დასახლებულ უბანზე, ორი მიმართულებით, გარე განათებით მოეწყობა ბეტონის საფარიანი არმირებული საავტომობილო გზა 1000 და 480 გრძ/მეტრზე.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს და ფაქტიურად უკვე მოწყობილია არსებული საყრდენი კედლები, საფეხმავლო ტურისტული ბილიკი და დასრულებულია საავტომობილო გზის ე.წ. ჩიხის 480 გრძ/მეტრიანი

საქართველოს მთავრობის ინიციატივით მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის ბოლოს დაიწყო სოფელ გელათის გაზიფიცირების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები.

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად ირკვევა, რომ საპროექტო ნიშნულით გაზის მიწისქვეშა მაგისტრალის მშენებლობა და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები თანხვედრაშია.

მიწისქვეშა გაზის მაგისტრალის მშენებლობის წარმოება, გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოებთან პარალელურ რეჟიმში შეუძლებელია და ფაქტიურად საფრთხე ექმნება ორივეპროექტის განხორციელებას.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინა ორივე პროექტის შესრულების საჭიროების როგორც სახელმწიფო ისე ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ინტერესი და მიიღო გადაწყვეტილება, გელათის მონასტერთან მისასვლელი ძველი გზის რეაბილიტაციის პროექტი განხორციელდეს მრავალწლიანი შესყიდვის წესით.

ქალაქ ტყიბულის N 2 და გელთის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

მთავრობის გადაწყვეტილებით, ორივე ბაღში წელს მხოლოდ პირველი ეტაპის სამუშაოები **მიმდინარეობს**. შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიამ სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩაატარა ტენდერი მრავალწლიან შესყიდვაზე.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია ახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოებს. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით N2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის ღირებულება 480 128 ლარს შეადგენს, თუმცა წელს მხოლოდ 200 000 ლარის სამუშაოები გახორციელდება. გელათის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის საჭიროა 298 420 ლარი, პირველ ეტაპზე აქაც სამუშაოების ნაწილი შესრულდება, რომლისთვისაც 150 000 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადა განისაზღვრა 2020 წლის 30 მაისით.

<u>სოფლის მხარდაჭერის პროგრამა</u>

საქართველოს მთავრობის დადგენილებით სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესაბამისად, დამტკიცდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სოფლებისათვის სოციალურ–ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსებას მათ შორის, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას და ამ პროცესში სოფლის მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას.

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ძირითადი მიზნებია :

- პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად;
- ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა, უშუალოდ სოფლის მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად;
- მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერება.

2019 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ტყიბულის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 532 000 ლარი. გამოყოფილი თანხები, სოფლის კრებებზე განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, საჯარო განხილვის საფუძველზე გადანაწილდა 46 სოფელზე და 97 პროექტი განხორციელდა.

<u>საჯარო სკოლების მცირე რეაბილიტაციის პროგრამა</u>

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის 13 საჯარო სკოლაში სხვადასხვა სახის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა, რომლის ჯამური ღირებულება 368 528 ლარს შეადგენს.

გაგაცნობთ პროექტების მიმდინარეობას:

- კურსების საჯარო სკოლის ეზოს სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია-26 626 ლ. სამუშაოები დასრულებულია;
- საწირის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის სამუშაოები - 57 946 ლ; დასრულებულია გათბობის სისტემის და საქვაბის შენობის მოწყობა, ამ ეტაპზე დარჩენილია გათბობის ქვაბის მონტაჟი;
- სოფელ ახალსოფლის, სოფელ მუხურის N1, ტყიბულის N5 საჯარო სკოლების სკოლების სახურავების რეაბილიტაცია - 52 500ლ. სამუშაოები დასრულებულია;
- სოფელ მუხურის N2, სოფელ ორპირის, სოფელ ძმუისის საჯარო სკოლების დაზიანებული იატაკების რეაბილიტაცია - 137 929 ლ. სამუშაოები დასრულებულია;
- გელათის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია- 24997 ლ. სამუშაოები დასრულებულია;
- <u>სოფელ ჯვარისის საჯარო სკოლის სკოლის ეზოს შეღობვა -</u>9997 ლ. სამუშაოები დასრულებულია;
- ტყიბულის N6, სოფელ ძიროვნის, სოფელ სოჩხეთის საჯარო სკოლების სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაცია - 58190 ლ. სამუშაოები დასრულებულია;

მომავალ წელს იგეგმება ტყიბულის N2 საჯარო სკოლის მშენებლობა.

<u>სამედიცინო ამბულატორიების რეაბილიტაციის პროგრამა</u>

საქართველოს მთავრობის ინიციატივით განსაზღვრული, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, დაიგეგმა მუხურის, ცუცხვათის, გურნის, ორპირის, კურსების სოფლებში არსებული ამბულატორიების სარემონტო სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ღირებულება შეადგენს - 90 725 ლარს.

დღეის მდგომარეობით, სამუშაოები დასრულებულია.

<u>სტიქიის პრევენციის პროგრამა</u>

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით ტყიბულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 161 424 ლარი. ქალაქ ტყიბულში, რუსთაველის ქუჩაზე არსებული მდინარის საყრდენი კედლის რეაბილიტაციის სამუშაოების უზრუნველყოფისათვის.

ამ პერიოდისათვის კომპანია ახორციელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს კერძოდ, მოსაწყობია საყრდენი კედლის 377გრძ/მეტრ მონაკვეთზე ბეტონის გარსაცმი.

სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამა

საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში დაიგეგმა მრავალბინიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, ამ ეტაპზე 48 ერთეული საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ 2 საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც ნომბრის თვეში დასრულდება.

- გამსახურდიას ქ. N18, რუსთაველის ქ. N4, ახობაძის ქ. N2 (მეორე სადარბაზო), კუპრაშვილის ქ. N1, (პირველი სადარბაზო), სვანეთის ქ. N14, სვანეთის ქ. N26, ბრეგვაძის ქ. N6, ბრეგვაძის ქ. N8, ბრეგვაძის ქ. N2, ჯალაღანიასქ. N23, კუპრაშვილის ქ. N2. გურამიშვილის ქ. N9, რობაქიძის ქ. N10, გიორგაძის ქ. N39 (პირველისადარბაზო), თაყაიშვილის ქ. N8, სოფელი ახალსოფელში, ჩაისფაბრიკის და სახახლებაში საცხოვრებელი სახლი, რობაქიძის ქ. N14, რუსთაველის ქ. N19, რობაქიძის ქ. N12 (1 და 3 სადარბაზოები), გელათის ქ. N24 (პირველი სადარბაზო), სვანეთის ქ. N28, გამსახურდიას ქ. N3 (მეოთხე სადარბაზო), ჯალაღანიას ქ.N29, გამსახურდიას ქ. 19, გამსახურდიას ქ. 30-VII-VIII-IX, ცირეკიძის ქ. N9, კოსტავას ქ. N4, ცირეკიძისქ.N16,კ.ლომაძისმოედანიქ.N6 (პირველისადარბაზო), თბილისის ქ. N13 (მეორე სადარბაზო), ჯალაღანიას ქ. N16, კოსტავას ქ. N5, კოსტავას ქ. N2, , ახობაძის ქ. N4 (მეოთხე სადარბაზო), გამსახურდიას ქ. N1 (1, 2 და 3 სადარბაზოები), გამსახურდიას ქ. N14, გიორგაძის ქ. N39 (მეორე სადარბაზო), გორგიძის ქ. N1, გამსახურდიას ქ. N49 (1, 5 და 6 სადარბაზოები), გორგიძის ქ. N2, კოსტავას ქ. N7, ქუთაისის ქ. N4, დუმბაძის ქ. N2. სოფელბში: გელათი, სოჩხეთი, ხრესილი კლუბის სახურავი, ტყიბულის

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავი, მუხურაში და ცუცხვათში ადმინისტრაციული შენობის სახურავი.

<u>მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან</u> საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში დაიგეგმა სოფელ მუხურაში შიდასასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყო 578 გრძ/მეტრის ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა, პროექტი დასრულებულია - 212 608 ლარი.

<u>2018 – 2019 წლებში მრავალწლიანი შესყიდვით განსახორციელებელი პროექტები</u>

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს საწირის ადმინისტრაციული ერთეულში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, სასმელი წყლით მომარაგება უნდა განხორციელდეს სოფელ საწირის მიმდებარედ მოწყობილი წყალშემკრები კაპტაჟიდან, რაც მიედინება ცენტრალური 160მმ-იანი პოლიეთილენის მილით სოფ. საწირის არსებულ რეზერვუარში, სადაც მოსაწყობია გამწმენდი ნაგებობა (საქლორატორო). ასევე მოსაწყობია 50მმ-იანი, 32მმ-იანი პოლიეთილების მილი აგრეთვე სოფ. დაბაძველისა და სამტრედიის უბნებში 50 ტ რეზერვუარები ხოლო ე.წ. „ლეკების“ უბანში 80 ტ რეზერვუარი. სამუშაოები მიმდინარეობს -თანხა შეადგენს 669 727 ლარს.

დღეის მდგომარეობით, მოწყობილია სხვადასხვა დიამეტრის 8 კმ მაგისტრალი და ერთი ერთეული სამარაგო ავზი, მიმდინარეობს სოფელ დაბაძველისა და სამტრედიის უბნებში 50 ტ რეზერვუარებისა და 4კმ მაგისტრალის

<u>ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამა</u>

მიმდინარე წელს დაიგეგმა და მიმდინარეობს შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელ ხრესილის და ახალსოფლის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია - 31540 ლარი;

- სოფელ ორპირის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 12581ლარი;
- სპორტ. დარბაზის სახურავისა და ოთახების რეაბილიტაცია - 61467 ლარი.

ამ ეტაპზე სამუშაოები ფაქტიურად დასრულებულია.

ადგილობრივი ბიუჯეტისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამით დაიგეგმა:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები - 65 000 ლ;

ხრესილის ომში გამარჯვებულთა მემორიალის კეთილმოწყობა -15 000 ლარი. სამუშაოები მიმდინარეობს.

წელს პირველად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში საბავშვო ბაღებმა დაიწყო ფუნქციონირება.

სოფლებში: გურნა, ჯვარისა, სოჩხეთი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, შშმ პირებისთვის ადაპტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მოეწყო, რომელიც ავეჯითა და ყველა საჭირო ინვენტარით აღიჭურვა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ჯამში ხორციელდება 135 სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი, თანხით 6 463 517 ლარი.

რეგიონილი განვითარების ფონდის, იუსტიციის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდის, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ეკონიმიკის სამინისტროს დაფინანსებით ტყიბულში განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები:

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყიბული-სოჩხეთი-ორპირის საავტომობილო გზის 15.7 კმ-იან მონაკვეთის რეაბილიტაცია. გზის კეთილმოწყობა ამ

მიმართულებით გადაადგილებას გაცილებით კომფორტულს და უსაფრთხოს ხდის. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 10 880 000 ლარია.

აქტიურად მიმდინარეობს N7 საჯარო სკოლის ახალი სასწავლო კომპლექსის მშენებლობა. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული სამსართულიანი შენობის სრული რეკონსტრუქცია, ახალი ორსართულიანი შენობის, სპორტული დარბაზის, საქვაბე ბლოკის, გარე საფეხბურო მოედნის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა. სამუშაოები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღირებულება 3 571 415 ლარს შეადგენს.

ტყიბულსა და საწირეში გაიხსნა იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები, რომელიც ადგილობრივთა საჭიროებებზეა ორიენტირებული. მომხმარებელი ადგილზე 200-ზე მეტი სახელმწიფო და კერძო სერვისით სარგებლობს.

სამუშაოები ჩატარდა გაზიფიცირების მიმართულებით, უკვე დასრულებულია ქალაქის გაზიფიცირება და ეტაპობრივად მიმდინარეობს სოფლების ბუნებრივი აირით მომარაგების პროცესი, ამჟამად გაზსადენის მშენებლობა ახალსოფელში, ხრესილში, ორპირში, გელათსა და მოწამეთაში მიმდინარეობს.

2020 წლიდან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინსტროს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად, დაგეგმილი აქვს ტყიბულში წყლის გამწმენდი ნაგებობის, კანალიზაციის ქსელისა და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

2020 წლისათვის დაგეგმილი რ.გ.ფ. პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

- ქალაქის შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობა
- სოფლების შიდა გზების ბეტონის საფარითმოწყობა

- სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის რეაბილიტაცია
- ქ. ტყიბულში მრავალბინიანი კორპუსების შიდა ეზოების რეაბილიტაცია
- ქალაქტყიბულის # 2 საბავშვობაღისრეაბილიტაცია 2019 წლის სამუშაოების გაგრძელება
- სოფელ გელათის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 2019 წლის სამუშაოების გაგრძელება
- სოფელ გელათში მონასტერთან მისასვლელი ძველი გზის რეაბილიტაცია 2019 წლის სამუშაოების გაგრძელება
- მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია
- სოფელ მუხურის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით 3000 გრძივი მეტრი
- ქ.ტყიბულში, გამსახურდია, რუსთაველის ქუჩებზე არსებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია
- მუნიციპალიტეტს სოფლებში ამბულატორიების რეაბილიტაცია 10 მიმართულებით

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს სისუფთავის და ნორმალური სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა ქალაქის ქუჩებში. ქუჩების სისტემატიური დაგვა, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების გასხვლა, ქუჩების დახაზვა, გადაბელვითი სამუშაოები, გაზონების (მწვანე ზონების) მოწყობა, სანიაღვრე არხების გაწმენდა, მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა, ატრაქციონების მოწყობა, სამღებრო სამუშაოების ჩატარება, საქალაქო ტრანპორტით მგზავრთა გადაყვანა და ასე შემდეგ, რასაც სისტემატიურად ახორციელებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ააიპ კომინალური გაერთიანება.

აქტიურად ვახორციელებთ გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციას, მუნიციპალიტეტმა წელს ელექტრონული ტენდერის საშუალებით სხვადასხვა სიმძლავრის 770 -მდე მრავალწერტილოვანი (LED) სანათი შეიძინა, რომელითაც 43 ქუჩაზე და ტყიბული-ქუთაისის გზატკეცილზე გარე განათება განახლდა.

სოციალური სფერო

მიმდინარე 2019 წლის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების დროს, ჩვენს მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით დაგეგმილ და განსახორციელებელ პროგრამებს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 29 კატეგორიის და მიმართულების დასაფინანსებლად გამოიყო 365 000 ლარი. აღნიშნული თანხის გადანაწილება მოხდა შემდეგ ქვეპროგრამებზე:

1.ინდივიდუალური დახმარების ქვეპროგრამა -65 000 ლარი

ა) ერთჯერადი ფულადი დახმარება;

ბ) ეპილეფსიით დაავადებული მოქალაქეების ფულადი დახმარება;

გ) პარკინსონიზმით დაავადებული მოქალაქეების ფულადი დახმარება;

დ) ხანდაზმულ(100 წლის და მეტი ასაკის) მოქალაქეებზე ფულადი დახმარება;

ე)ყოველთვიური ფულადი დახმარება თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე (ჰემოდიალიზი) მყოფი მოქალაქეები;

ვ) იძულებით გადაადგილებულ პირთა(რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე) და 2006 წლიდან „შპს საქნახშირის“ შახტში დაღუპულთა და დაშავებულთა (რომლებსაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) ოჯახებზე, პირველი-მეოთხე კლასელი მოსწავლეებისათვის საკანცელარიო ნივთების შეძენა.

ზ)2006 წლიდან „შპს საქნახშრის“ შახტში დაღუპულთა და დაშავებულთა (რომლებსაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) ოჯახებზე კომუნალური გადასახადების გადახდა 6 თვის განმავლობაში,თვეში 30(ოცდაათი) ლარის ოდენობით.

2.ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა -65 000 ლარი;

ა) ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა;

ბ)მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა;

გ)მარტოხელა მშობლის დახმარების ქვეპროგრამა

3.სოციალური სერვისები, უფასო სასადილო და სოციალური სამრეცხაო -82 000 ლარი;

4.საცხოვრისით უზრუნველყოფა, ხანძრებით, ბუნებრივი კატასტროფებითა და სხვა მიზეზით დაზარალებულთა დახმარება 50 000 ლარი;

5.ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა- 10 000 ლარი;

ა)ყოველთვიური ფულადი დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე;

ბ)ჩერნობილის აეს-ის ლიკვიდაციაში მონაწილეებზე ჩერნობილის დღესთან დაკავშირებით;

გ)შშმ ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახებზე აღდგომის დღესასაწაულთნ დაკავშირებით;

დ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით.

6.სამედიცინო დახმარების პროგრამები -70 000 ლარი;

ა)სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება;

ბ) 0-5 წლამდე ბავშვების და ასაკის პენსიონერების სტაციონალური გადაუდებელი მომსახურების თანაგადახდა ადგილობრივ ჰოსპიტალში;

გ)ონკოლოგიური პაციენტების კომპიუტერული ტომოგრაფიის და ბიოფსიის დაფინანსება--50%

7.შშმ პირების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა -20 000 ლარი;

ა)შშმ პირების (0-დან 18 წლამდე) დახმარება

ბ)ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირთა (18 წლის ზევით) დახმარება

გ)მხედველობით პირველი ჯგუფის შშმ პირებზე ყოველთვიური დახმარება

8.სარიტუალო ხარჯები - 3000 ლარი.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის, ბრძოლების შემდეგ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მონაწილე ვეტერანის და იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახების დახმარება.

მოსახლეობის სოციალური დაცვის კუთხით შემდეგი სურათი გამოიკვეთა: უფასო სასადილოს და სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობს 110 ბენეფიციარი, მიმდინარე წელს ავამოქმედეთ შინ მიტანის სერვისიც, რომლითაც ცხრა ბენეფიციარი სარგებლობს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ბენეფიციარებს მიეცათ სასაჩუქრე ნობათ, ანალოგიური საჩუქარი გათვალისიწნებული იქნება საახალწლოთაც.

განსაკუთებულად მინდა აღვნიშნო ,,ტყიბულის განვითარების ფონდის“ და მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტის - შინ მოვლის სერვისის შესახებ. აღნიშნული სერვისის ფარგლებში შერჩეულია 30 ბენეფიციარი მუნიციპალტეტის ტერიტორიაზე, რომლებსაც თვეში ოთხჯერადი ინტენსივობით მიეწოდებათ საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების სერვისი. პროექტის მიზანი გახლავთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულობისათვის უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა, მათთვის შინ მოვლის სერვისის მიწოდებით.

იანვარის თვეში საერთაშორისო ასოციაციის "ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის"და ჩვენი კოორდინირებული მუშაობით, ჩვენს მუნიციპალიტეტში შშმ პირებს გადაეცათ 13 ეტლი.

სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. მერის სარეზერვო ფონდიდან 9 თვეში გახარჯულია 39,0 ათასი ლარი. დახმარება გაეწია 93 მოქალაქეს.

სოციალური დაცვის მიმართულებით გაწეული სამუშაოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახლავთ საცხოვრისით უზრუნველყოფის აუცილებლობა. საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის მიზანი გახლავთ სიღატაკის რისკის ქვეშ მყოფი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების შეძენა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ჩვენს რეალობაში არიან ასეთი ოჯახები. მიმდინარე 2019 წელს მერიის მიერ 2 ასეთ უსახლკარო ოჯახს შეუძინეთ ბინა. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ გასულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობიდან შემოვიდა 855 განცხადება, მერიის ხელმძღვანელობის მხრიდან მოხდა ყველა მათგანის კომისიური

განხილვა, სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 798 განმცხადებელს, უარი კი მხოლოდ 165 მოქალაქეს ეთქვა.

ის ციფრები, რომლებიც ახლა მე თქვენს წინაშე წარმოვადგინე მოსხლეობის სოციალური დაცვის კუთხით, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილი საჭიროებს ხელისუფლების მხარდაჭერას და თანადგომას, სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მომავალი ბიუჯეტის დაგეგმვისა და დამტკიცების დროს გავითვალსწინოთ სოციალური მიმართულებებით ასიგნებების გაზრდა.

განათლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ბაგა-ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის დაფინანსება. მათ შორის: პერსონალის შრომითი ანაზღაურება, ბავშვთა კვება, შენობა-ნაგებობების გათბობა, საახალწლო ღონისძიებები და სხვა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას, ახალგაზრდობის მრავალმხრივ განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ჩვენ ვაგრძელებთ ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერას, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და წარმატებების მიღწევა.

ამ კუთხით მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან კულტურის და სპორტის სფეროში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული დაწესებულებები. დიდია მათი როლი მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-განათლების, დასვენებისა და აღზრდის საქმეში. მათ მიერ წარმოდგენილი ღონისძიებები არის თანამედროვე, დამსწრე საზოგადოებისათვის სახალისო და შინაარსიანი. მზადდება და იმართება ღონისძიებები, როგორც ჩვენ მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი დღეების აღსნიშნავად, ასევე ქვეყნის მასშტაბით. თითოეული დაწესებულება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით და სახელმწიფო მოთხოვის დონეზე ხარისხიან საქმიანობას ახორციელებს.

აღსანიშნავია სპორტის სფეროში მიღწეული წამატებები, რითაც არაერთხელ გვასახელეს ტყიბულელმა ახალლგაზრდებმა და ვიმედოვნებთ კიდევ ბევრჯელ ასახელებენ მუნიციპალიტეტს.

მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია ტურიზმის განვითარება და აქტიურად ვმუშაობთ ამ კუთხით. სწორედ ამიტომ დავიწყეთ გელათის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი ძველი გზის რეაბილიტაციაც. მასობრივი ტურიზმის ობიექტად გადაქცევის პერსპექტივა აქვს ,,ცხრაჯვარსა“ და ცუცხვათის მღვიმოვანს, ,,ცხრაჯვარის“ განაშენიანების რეგულირების გეგმა მუნიციპალიტეტის მიერ მომზადდა, რომელმაც სამთავრობო დონეზე მოწონება დაიმსახურა, აღნიშნული გეგმის რეალიზაციის მიზნით ვმუშაობთ პოტენციურ ინვესტორებთან.

ჩემი დღევანდელი გამოსვლა თქვენს წინაშე ისე არ მინდა იქნას აღქმული, რომ ტყიბულის მუნიციპალტეტის მერია ყოველგვარი გადაცდომების გარეშე მუშაობს. არა, მე, როგორც მუნიციპალიტეტის მერს ასეთი შეგრძნება არ მაქვს, პირიქით, მიმაჩნია, რომ ჩვენს მუშაობაში არის ხარვეზი და ვფიქრობ, სწორედ ამ ხარვეზების შედეგია ის, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ინერტულადაა განწყობილი მუნიციპალიტეტში და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ. ყველაზე უფრო მტკივნეული ხალხთან კომუნიკაციის ნაკლებობა. სამწუხაროდ ნაკლებია საზოგადოების, თქვენი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც ვფიქრობ უახლოეს მომავალში უნდა გამოსწორდეს. ჩემის ღრმა რწმენით აუცილებელია მუნიციპალიტეტის ყველა თემთან და სოფელთან უფრო აქტიური, უფრო ახლო კონტაქტები, ადგილობრივი პრობლემების მოსახლეობასთან განხილვა და შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა.

მიმაჩნია, რომ მომდევნო წლების განმავლობაში ჩვენ, თქვენთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოთ ქალაქ ტყიბულის იერსახის გალამაზებას, შენობა-ნაგებობების ფასადების შეკეთება ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი გახდება. მომდევნო წლების განმავლობაში, ასევე არ შეიცვლება აღებული კურსი და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება უფრო

ფართომასშტაბიან სახეს მიიღებს. ქალაქის ყველა უბანი, ყველა ჩიხი იქნება კეთილმოწყობილი, სრული მასშტაბურობით გაგრძელდება სოფლების შიდა გზების სამშენებლო-საეაბილიტაციო სამუშაოები, მუნიციპალიტეტის კულტურული და სპორტული განვითარება ფართო ხასიათს მიიღებს, თანხების გამოყოფა ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით საგრძნობლად გაიზრდება. ერთი სიტყვით: უამრვი ახალი ინიციატივა გვაქვს და თქვენი მხარდაჭერის და თანადგომის შედეგად მათი რეალიზაცია რეალობად იქცევა, რაც ჩვენი ქალაქის ხვალინდელ დღეს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის!.